

## მეფუტკრე



### მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:

მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება**

**მიზანი:** პროგრამის მიზანია უზრუნველყოს პროფესიონალ მეფუტკრეთა მომზადება, რომლებიც დააკმაყოფილებენ დარგში მზარდ მოთხოვნებს. მეფუტკრეობის დარგთან დაკავშირებული უნარების გარდა, სტუდენტები შეიძენენ ფართოდ გამოყენებად, ზოგად/ტრანსფერულ უნარებს. ისინი აღჭურვილნი იქნებიან ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირების უნარ-ჩვევებით. ასევე არჩევითი მოდულების ბლოკი სტუდენტებს საშუალებას მისცემს ცოდნა გაიღმავონ პროფესიაში ან მომიჯნავე სფეროში, ან შეიძინონ დამატებითი ტრანსფერული უნარები. პროგრამის მოდულური სტრუქტურა ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის შიგნით სტუდენტთა მობილობას, ისე სტუდენტთა საერთაშორისო მობილობას.

### სწავლის შედეგები:

- საფუტკრემეურნეობის მოწყობა
- მეფუტკრეობისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა
- ფუტკრის მოვლა-პატრონობა
- მეფუტკრეობის პროდუქტების წარმოება
- ვეტერინარულ-სანიტარიული და სანიტარიულ-ჰიგიენური, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა
- საფუტკრემეურნეობის ტექნოლოგიური და პირადი პროფესიული განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა

### კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს საფუტკრე მეურნეობებში ან შესაბამისი პროფილის გადამამუშავებელ საწარმოში, ასევე შეუძლია საკუთარი ბიზნესის წამოწყება და თვითდასაქმება.

### პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- პროგრამის მოცულობა: 74 კრედიტი
- სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობა: 14 სასწავლო თვე

### პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

1. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო
2. ი/მ რომან მალაყმაძე
3. ააიპ აგრო ტექ სერვისი